3. სამაგისტრო პროგრამა სკოლის ფსიქოლოგიაში

1. **სამაგისტრო პროგრამის დასახელება – სკოლის ფსიქოლოგია – School Psychology. ***

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – მაგისტრი სკოლის ფსიქოლოგიაში– MA in School Psychology.**

3. **ხელმძღვანელი**

ასოცირებული პროფესორი თამაზ გოგიჩაიშვილი

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **მიზანი**

პროგრამის მიზანია მოამზადოს სკოლის ფსიქოლოგები, რომლებსაც შეეძლებათ ბავშვის შემეცნებითი და ფსიქოსოციალური განვითარების, სასწავლო და აღმზრელობითი პრობლემების შეფასება და დიაგნოსტირება, ინტერვენცია და პრევენცია.

- **შედეგი**

პროგრამის დასრულების შემდეგ:

  - მაგისტრი ფლობს სრულყოფილ ბაზისურ ცოდნას შემდეგ საგნებში: განვითარების ფსიქოლოგია (ბავშვის კოგნიტური განვითარება, ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარება, განვითარების დარღვევები), განვითარების ფიქოლოგიის კვლევის მეთოდები, განათლების ფსიქოლოგია.
  - მაგისტრს შეუძლია სპეციალური ლიტერატურის დამოურკიდებლად მოძიება-დამუშავება; კვლევის მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა-ჩატარება, კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, შესატყვისი წერითი ანგარიშის შედგენა და ზეპირი პრეზენტაცია.
  - მაგისტრს აქვს შემდეგი უნარ-ჩვევები: ანალიტიკური და პრობლემათა გადაჭრის უნარ-ჩვევა, კვლევითი და სტატისტიკური უნარები, პროფესიული გადაწყვეტილების მიღების უნარი, პიროვნებათა შორის ურთიერთობების უნარ-ჩვევა.
  - მაგისტრმა იცის პროფესიული ეთიკის კოდექსი.

დასაქმება:

მაგისტრის ხარისხის მფლობელ სკოლის ფსიქოლოგს

- შეუძლია მუშაობა სკოლაში, სკოლამდელ დაწესებულებაში, ბავშვთა საკონსულტაციო ცენტრებში, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც სპეციალიზირდებიან ბავშვთა, მოზარდთა, ახალგაზრდების პრობლემებზე, მშობელთა კონსულტირებაზე.
- აქვს უფლება დაიკავოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლებისა და კვლევის პროცესებთან დაკავშირებული თანამდებობა: ასისტენტის, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, მასწავლებლის, ლაბორანტის.
- აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.

6. მიღების წინაპირობა:

- ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ან გავლილი კურსები განვითარების და/ან პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში.
- ნიშნების მინიმალური საშუალო – 80 ქულა.
- სამუშაო გამოცდილების ქონა სავალდებულო არ არის.
- უცხოური ენის დონე – B1.

მისაღები გამოცდა: წერითი გამოცდა სპეციალობაში.

საკითხები
მაგისტრატურაში მისაღები გამოცდისათვის
სკოლის ფსიქოლოგიის სპეციალობით

სახელმძღვანელოები:

1. Крайг, Г.,(2000), Психология развития, Санкт-Петербург: «Питер»
2. უზნაძე, დ., (2003), ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი

(საკითხების შესატყვისი გვერდები მითითებული იქნება ამ სახელმძღვანელოებიდან)

1. **განვითარების ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები. ბავშვობის ასაკის პერიოდიზაცია.** განვითარების სფეროები, განვითარების ბიოლოგიური პროცესები, გარმოს ზეგავლენა განვითარებაზე, განვითარების პროცესების ურთიერთზეგავლენა. – 1. გვ . 15-23: 2. გვ. 29-38;

2 **განვითარების ფსიქოლოგიის მეთოდები.** 1. ; 2. გვ. 10-29;

3. **განვითარების თეორიები:** ბიჰევიორიზმი და სოციალური დასწავლის თეორია; 1. გვ. 64 -74.

4. **განვითარების თეორიები:** ჟან პიაჟეს თეორია, ინფორმაციული თეორია – 1. გვ. 74-83.

5. **განვითარების** ფსიქოდინამიური თეორიები; განვითარების ჰუმანისტური თეორია და "მე"-ს თეორიები – 1. გვ. 83-92; გვ. 92-96.

6. **ქრომოსომული და გენური ანომალიები.** სქესთან დაკავშირებული ანომალიები; აუტოსომური ანომალიები; გენეტიკური კონსულტირება. – 1. გვ. 117-128;

7. **პრენათალური განვითარება**. პრენათალური განვითარების პერიოდები; გარემოს ზეგავლენა პრენათალურ განვითარებაზე. – 1. გვ. 154-177;

8. **ახალდაბადებულობა**. ახალდაბადებულის შესაძლებლობები; დასწავლა და მიჩვევა. – 1. 207-216;

9. **შემეცნებითი განვითარება ჩვილობაში.** სენსომოტორული პერიოდი; საგნებით თამაში; ობიექტების იგივეობა დროსა და სივრცეში; მეხსიერება;

პერცეპტული კატეგორიები –1. გვ. 254-262;

10. ფსიქოსოციალური განვითარება ჩვილობაში. მიჯაჭვულობის განვითარება: ტესტი "უცხო სიტუაცია" და მიჯაჭვულობის ტიპები. –1. გვ. 301-312;

11. სამეტყველო განვითარება ჩვილობაში. ენობრივი განვითარების დასაწყისი; ენის დაუფლების პროცესი: სიტყვამდელი პერიოდი, პირველი სიტყვები, ერთსიტყვიანი წინადადებები, ორსიტყვიანი წინადადებები – 1. გვ. 274-284.

12 შემეცნებითი განვითარება ადრეულ ბავშვობაში. ოპერაციამდელი სტადიის თავისებურებები: ბავშვის აზროვნების ეგოცენტრიზმი, ცენტრაციის მოვლენა; კლასიფიკაცია; სერიაცია; –1. გვ. 364-372;

13. პიაჟეს შემდგომი პერიოდის შეხედულებები ადრეული ბავშვობის შემეცნებით განვითარებაზე. განვითარების უახლოესი ზონა; შემეცნებითი განვითარების ინფორმაციული მოდელი: მეხსიერების მნიშვნელობა, ცნობა და აღდგენა, გამეორება და მასალის ორგანიზაცია. – 1. გვ. 373-378.

14. და თამაშის ქცევაადრეულ ბავშვობაში; თამაშის სახეები; თამაში და კოგნიტური განვითარება; – 1. გვ. 390-397;

15. ფსიქოსოციალური განვითარება ადეულ ბავშვობაში. გრძნობების მართვა ადრეულ ბავშვობაში; განვითარების კონფლიქტები. 1. 410-420

16. ფსიქოსოციალური განვითარება ადეულ ბავშვობაში. აგრესიისა და პროსოციალური ქცევის დასწავლა. მე-კონცეფცია; სოციალური ნორმები; გენდერული სქემები. 1. 421-435;

17. აღზრდის სტილი. – ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური, ინდიფერენტული; და-ძმები. – 1. გვ. 436-445

18. შემეცნებითი განვითარება საშუალო ბავშვობაში. კონკრეტული ოპერაციების სტადია; კოგნიტური განვითარების ინფორმაციული მიდგომა; მეხსიერება და მეტაკოგნიცია; სამეტყველო განვითარება. – 1. გვ. 468-478;

19. სწავლა და აზროვნება სკოლაში. ახალი მოთხოვნები; კრიტიკული აზროვნება; სასკოლო წარმატებები; სქესობრივი განსხვავებები; მშობლების ზეგავლენა; სწავლის უუნარობა. 1. 479-486; 495-498;

20. ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობა საშუალო ბავშვობაში. ოჯახი და სტრესი; არასრული და გაყრილი ოჯახები; ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა. – 1. 510-526;

21. სოციალური ცოდნის და მორალის განვითარება საშუალო ბავშვობაში. პიაჟე, კოლბერგი, გილიგანი. – გვ. 527-536.

22. თანატოლების ურთიერთობები. მეგობრობა; თანატოლების ჯგუფები და მათი თავისებურებები; კონფორმულობა; „ჩემიანები" და „უცხოები." – 1. 539-546;

23. ფიზიკური განვითარება და სქესის იდენტობა მოზარდობასა და სიჭაბუკეში. ზრდის პროცესი; მორფო-ფუნქციონალური და შინაგანი

ცვლილებები; ცვლილებები გარეგნობაში და მათი შეფასება მოზარდისა და მისი მშობლების მიერ – 1. გვ. 563-572.

24. სქესის იდენტობა და სექსუალური ქცევა. მოზარდი მშობლები. 1. 573-585

25. შემეცნებითი განვითარება მოზარდობასა და სიჭაბუკეში. კოგნიტური ცვლილებები მოზარდობასა და სიჭაბუკეში. აბსტრაქტული აზროვნების განვითარება. ინფორმაციული მიდგომა კოგნიტური განვითარების ახსნისადმი. მორალის განვითარება. – 1. გვ. 586-593.

26. ფსიქოსოციალური განვითარება მოზარდობასა და სიჭაბუკეში.

დამოუკიდებლობა და ურთიერთდამოკიდებულება; იდენტობის ჩამოყალიბება; თაობათა შორის ურთიერთობა. – 1. გვ. 601-611.

27. თანატოლები, მეგობრები და სოციალური გარემო. ღერებულებები და იდეალები მოზარდობაში. - 1. 614-630.

28. ადამიანის ქცევის ექსტეროგენური ფორმები: მოხმარება, მომსახურება, მოვლა, შრომა, საქმე. 2. გვ. 412-429;

29. ადამიანის ქცევის ინტროგენური ფორმები: ესთეტიკური ტკბობა, შემოქმედება, თამაში, სპორტი, გართობა. 2. გვ. 429-442;

30. სწავლა, როგორც ქცევის ფორმა. სწავლის მნიშვნელობა 2. გვ. 442-451;

2. გვ. 533-542.

დამატებითი ლიტერატურა:

1. გოგიჩაიშვილი, თ., (2005), განვითარების ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკი, "უნივერსალი", თბილისი;
2. ყოლბაია, მ., (1998), ბავშვის ფსიქოლოგია, პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.